უმაღლესი საბჭოს SMS ინფორმაცია				
ინიციატორი	*ნანა ბერიძე* *გვანცა ბოლქვაძე* *ქ. ბათუმის N4 საჯარო სკოლა*			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	*მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს სახელმწიფო სამსახურების საქმიანობის განხორციელებაში ჩართულობასა და მონაწილეობასთან დაკავშირებით ინდიფერენტული დამოკიდებულება გააჩნია. მათი საქმიანობის მიმართ დაბალი ინტერესისა და აქტივობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი კი ინფორმაციის ნაკლებობაა.* *მიუხედავად იმისა, რომ საინტერესოა საბჭოს საქმიანობა, ჩვენი ასაკის ადამიანებისთვის უცხოა, მხოლოდ ე.წ „ექსკურსიები“ საბჭოში არ არის საკმარისი, წარმოდგენა რომ გვქონდეს საბჭოს საქმიანობის სრულ სურათზე. SMS შეტყობინებების გაგზავნითა და მოქალაქეებისთვის შესაბამისი განახლებების მიწოდებით, საბჭო გააძლიერებს საზოგადოების ინტერესს და, შესაბამისად, გაიზრდება ჩართულობა მის საქმიანობაში.*			
პრობლემის გადაწყვეტის გზა	*ვალდებულების ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, დანერგოს: ე.წ უმაღლესი საბჭოს SMS სერვისი, რათა აჭარის მოსახლეობას მიეწოდოს ახალი ამბები და განცხადებები ადგილობრივი მმართველობისა და საბჭოს შეხვედრების შესახებ. არანაკლებ მნიშნელოვანია საბჭოს მიერ „ღია მმართველობითი პარტნიორობის“ ინიციატივაში ჩართვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც SMS შეტყობინებების სახით, ვინაიდან 31 მაისის დისტანციურ რეჟიმში (ZOOM პლატფორმით) შეხვედრამდე არ ვიცოდით მსგავსი მუდმივმოქმედი ორგანოს არსებობისა და ღია მმართველობის შესახებ.* *ამავე მეთოდით მოსახლეობა მიიღებს ინფორმაციას საბჭოს სხდომების ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ.*			
მთავარი მიზანი	*მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ ინფორმირებულნი საკანონმდებლო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, ასევე ხელისუფლების საქმიანობის მოსახლეობასთან მიტანის მარტივი და სწრაფი გზის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას.*			
ღია მმართველობის პრინციპები *მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე, ჩამოთვლილიდან რომელ პრინციპს შეესაბამება ეს ვალდებულება*	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდე-ბულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
	X		X	X
შესაბამისი SDG მიზანი *არასავალდებულო ველი*	*სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება*			

განხორციელების ეტაპები	**დაწყება:**	**დასრულება:**	**ინდიკატორი**
ეტაპი 1 *რეგლამენტში ცვლილების განხორციელება, ფინანსურ ნაწილში გათვალისწინებული იქნას sms სერვისის დანერგვისთვის საჭირო თანხა.*	*12.06.2022*	*12.07.2022*	*ღია მმართველობის საბჭოს მზაობა ხელი შეუწყოს ღია მმართველობის საქმიანობის განხორციელებას და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკა ამ მიმართულებით.*
ეტაპი 2 *აჭარის ა.რ. უმაღლეს საბჭოს სოციალურ ქსელში, კერძოდ Facebook.com-ზე ყავს 11 000 ზე მეტი გამომწერი (მათ შორის ჩვენც), და უნდა შედგეს მოქალაქეებისათვის SMS სერვისზე რეგისტრაციის შეთავაზება. კერძოდ, ფეისბუქის საკუთარ გვერდზე, ან ელექტრონული ფოსტით მოხდება დაკავშირება და გამომწერების ნომრის საერთო მონაცემთა ბაზაში დამატების შეთავაზება.*	*13.07.2022*	*20.08.2022*	*ინდიკატორი არის გამომწერების უკუკავშირი, დარეგისტრირდნენ სერვისის მიღებაზე. კლასში ჩატარებული კვლევის მიხედვით დაინტერესდება გამომწერების დაახლოებით 30-35%.*
ეტაპი 3 *ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებთან მოლაპარაკება*	21.08.2022	20.09.2022	